

**ვაკანსიის დასახელება:** მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი  
ადვოკატთა ასოციაციის შესახებ: ადვოკატთა ასოციაცია არის „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის მისიაა ხელი შეუწყოს საქართველოში კანონის უზენაესობის განმტკიცებასა და ხარისხიანი და სანდო მართლმსაჯულების სისტემის დამკვიდრებას.

**პოზიციის დასახელება:** მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი  
**სახელფასო განაკვეთი:** 1300 ლარი (დარიცხული)

**სამუშაო ადგილი:** თბილისი (ადვოკატთა ასოციაციის ოფისი)

**სამუშაო საათები:** 10:00 – 18:00 (ორშაბათი-პარასკევი)

**დასაქმების ვადა:** გამოსაცდელი ვადა 6 თვე. დასაქმების ვადის გაგრძელება დამოკიდებული იქნება გამოსაცდელი პერიოდის შედეგებზე.

**ზედამხედველობა:** პოზიცია ექვემდებარება ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს.

**სამუშაო აღწერილობა:**

- ორგანიზაციის ცენტრალური ოფისის მატერიალურ-ტექნიკურ მომსახურება;
- ორგანიზაციის ცენტრალური და რეგიონული ოფისების ცენტრალიზებული მომარაგების ორგანიზება;
- სამეურნეო საქმიანობის წარმართვა;
- სასაწყობო მეურნეობის წარმართვა;
- ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების დაცვა და მოვლა;
- ორგანიზაციის შენობა-ნაგებობებისა და ტექნიკური ბაზის მოვლა-პატრონობა.
- საჭიროების შემთხვევაში, კომპეტენციის სფეროში შემავალ საკითხებზე სხვა საქმიანობის განხორციელება.

**სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

- უმაღლესი განათლება ტექნიკური განხრით;
- მსგავს პოზიციაზე მუშაობის მინიმუმ 2 წლის გამოცდილება;

**უნარები:**

- ორგანიზებულობა;
- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;
- დროის მართვის უნარი.

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2023 წლის 10 თებერვალი. განაცხადის წარდგენა შეგიძლიათ ელექტრონული ფორმით ელ-ფოსტის მისამართზე: [hr@gba.ge](mailto:hr@gba.ge).

თქვენს მიერ გამოგზავნილი რეზიუმე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შესაძლოა შეიცავდეს პერსონალურ, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს. გაცნობებთ, რომ თქვენი პერსონალური მონაცემები ჩვენი ორგანიზაციის მხრიდან დამუშავდება მხოლოდ ვაკანსიის მიზნებისთვის.